ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი შეტევა კოსმოსურ სივრცეში

## საკდესის ცნობა

# ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-14“

დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1974 წლის 3 ივლისს 21 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-14“. ხომალდს პილოტობს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, პოლკოვნიკი პავლე რომანის ძე პოპოვიჩი და ბორტინჟინერი, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი იური პეტრეს ძე არტიუხინი.

„სოიუზ-14“ კოსმოსური ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია:

— მოაწყოს ერთობლივი ექსპერიმენტები ამა წლის 25 ივნისს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაყვანილ „სალუტ-3“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან;

— კომპლექსურად შეამოწმოს ფრენის სხვადასხვა რეჟიმის დროს ხომალდ „სოიუზის“ სრულყოფილი საბორტო სისტემები.

„სოიუზ-14“ ხომალდთან დამყარებულია მყარი რადიო- და სატელევიზიო კავშირი.

ხომალდის მეთაურის ამხანაგ პოპოვიჩის მოხსენების თანახმად, კოსმონავტებმა კარგად გადაიტანეს ორბიტაზე გაყვანა და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა.

ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ, ნაკვეთურებში შენარჩუნებულია დედამიწასთან დაახლოებული პირობები. დედამიწისირგვლივ ორბიტაზე „სოიუზ-14“ ხომალდის გაყვანის შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები პოპოვიჩი და არტიუხინი შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

ფრენის მართვის ცენტრი, 4 ივლისი (საკდესი). მოსკოვის დროით 16 საათისთვის „სოიუზ-14“ კოსმოსურმა ხომალდმა 18-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ, რომელიც დღეს დილით განხორციელდა, „სოიუზ-14“ ხომალდი განაგრძობს ფრენას ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 277 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 255 კილომეტრი;

— მიმოქცევის პერიოდი — 89,7 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

5 საათსა და 30 წუთიდან 15 საათსა და 40 წუთამდე „სოიუზ-14“ კოსმოსური ხომალდი იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ. ამ დროს კოსმონავტები ისვენებდნენ.

რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს პ. რ. პოპოვიჩმა გადმოსცა, რომ ეკიპაჟი შეეჩვია უწონობის პირობებს და ასრულებს ფრენის დასახულ პროგრამას. ამხანაგები პოპოვიჩი და არტიუხინი თავს კარგად გრძნობენ. ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.



პავლე რომანის ძე პოპოვიჩი



იური პეტრეს ძე არტიუხინი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 132 (5162)

1974 წ. 6 ივლისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# სასარგებლო სემინარი

ახლახან გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრების გამგეების, აგრეთვე, ტურიზმის მასწავლებლების ორდღიანი თათბირ-სემინარი.

მოხსენება — „უმაღლესი სასწავლებლებას ამოცანები პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში“ — წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. ფორაქიშვილმა.

ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრების მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა ვ. ხომერიკმა.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგის, დოცენტ ო. ვახანიას გამოსვლის თემა იყო სახელმწიფო გამოცდებისთვის მზადება (ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის საგანში).

თათბირზე მოისმინეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგის გ. მერკვილაძის მოხსენება; „განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან ურთიერთკავშირი სპეციალისტების მომზადების დროს მათი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით“.

გამოცდებისთვის მზადებისა და საზაფხულო სასწავლო-საბანაკო შეკრების საკითხებზე ინფორმაციით გამოვიდნენ სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრათა გამგეები.

თათბირზე აღინიშნა, რომ სემინარებმა, რომლებიც სამი წელია ტარდება, კარგი ეფექტი გამოიღო სწავლების ერთიანი სისტემის შექმნისა და დაგეგმვის თვალსაზრისით. ამიტომ თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ამოცანები პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდისა და თეორიის კათედრების მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისთვის.

თათბირზე დიდი დრო დაეთმო სემინარულ მეცადინეობას, ტურიზმის საკითხებს, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი კ. ასტახიშვილი ხელმძღვანელობდა.

**გ. ჯანელიძე,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების უფროსი.**

**ვ. სევრიუკოვა,**
**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**

# ხუგაშვილი და ჩიბურდანიძე — ფინალში

ტირასპოლი, 4 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გუშინ XIV ტური გაიმართა.

თბილისელმა ოსტატებმა მ. ჩიბურდანიძემ და თ. ხუგაშვილმა ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტიები გადადეს. ჩიბურდანიძეს ვ. როჟლაპასთან (რიგა) პაიკი აკლდა და პოზიციაც მძიმე ჰქონდა. დღეს თამაშის განახლებისას მაია დამარცხდა. ხუგაშვილს ნ. დრელთან (ლენინგრადი) უკეთესი პოზიცია კარგ იმედს აძლევდა, მაგრამ ლენინგრადელმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ყაიმს მიაღწია.

ტ. კოსტინამ მოუგო ქ. ზვორიკინას (ორივე — მინსკი), ნ. ალაზაპიანმა (სტეპანაკერტი) — ხ. კრუსიაუკს (ტალინი), ლ. გოლდინამ (ტაშკენტი) — ს. იაკოვლევას (ალმა-ათა), ა. კაროსენემ (ვილნიუსი) — ი. ბერზინიას (რიგა). ყაიმით დამთავრდა ტ. ფომინა (ტალინი) — ა. მუსლიმოვას (ალმა-ათა) შეხვედრა. ნ. ჩერნოვა (ლენინგრადი) — ბ. მოსიონჟიკის (კიშინიოვი) პარტია კვლავ გადაიდო.

14 ტურის შემდეგ თ. ხუგაშვილს 11 ქულა აქვს, მ. ჩიბურდანიძეს — 10,5, ტ. კოსტინას — 10, ტ. ფომინას — 9,5, ვ. როჟლაპას — 7,5.

სათამაშო დარჩა დასკვნითი, XV ტური. ფინალში ითამაშებენ I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები. ადგილების გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა იმ მოჭადრაკეს მიეცემა, რომელსაც მეტი მოგებული პარტია აღმოაჩნდება. ამ წესით ხუგაშვილსა და ჩიბურდანიძეს, ბოლო ტურის შეხვედრაში ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, ფინალის საგზურები უკვე მოპოვებული აქვთ.

**მ. შიშოვი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.**

ჭადრაკი

# ვაჟები ურეკორდებოდ იბრძვიან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის მოცურავე ვაჟები ერევანში ასპარეზობენ. აქვე პარალელურად მიმდინარეობს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ერევნის აუზში ერთი საკავშირო რეკორდიც კი არ გაუმჯობესებულა, თუმცა ფავორიტები თავიანთ საუკეთესო შედეგებს საგრძნობლად მიუახლოვდნენ.

ბოლო ორი დღის მანძილზე ჩემპიონები გახდნენ: 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — ა. სამსონოვი (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 1.55,0 და 4.06,5 (ეს ორივე შედეგი მოსკოველი ვ. ბურეს საკავშირო რეკორდებს მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩება); 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — ი. პოლტიაკინი (კუიბიშევი, „დინამო“) — 2.13,2, 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ასპარეზობაში — ს. ზახაროვი (ასტრახანი, „სპარტაკი“) — 2.11,3 და 4.40,8. 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტის ფინიშთან პირველი მივიდა რსფსრ-ს გუნდი — 3.58,2.

ჭაბუკთა პირველობაში თბილისელთაგან ჯერჯერობით ერთადერთი დინამოელი ნ. ბაშარულია, რომელმაც თანატოლთა შეჯიბრებაში უძლიერეს ექვსეულში შესვლა შეძლო — 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში IV ადგილი დაიკავა — 2.20,4. გაიმარჯვა ვ. მაცუკიხმა (ბაქო, „ნეფთჩი“) — 2.16,0.

# 140:48 და 79:60

პონსე, 4 ივლისი. პუერტო-რიკოს 3 ქალაქში სტარტი აიღო კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატმა. საბჭოთა ნაკრები თამაშობს „ა“ ჯგუფში. მატჩები პონსეში მოეწყობა. სსრ კავშირის წარგზავნილებს პირველი შეხვედრა ჰქონდათ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან. მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობას საბჭოთა სპორტსმენები ფლობდნენ. მათ ადვილად მოიგეს კიდეც პირველი ტაიმი — 72:23.

შესვენების შემდეგ საბჭოთა გუნდის შეტევების წინააღმდეგ აფრიკელმა სპორტსმენებმა ვერაფერი გააწყვეს. მატჩი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა — 140:48.

საბჭოთა გუნდის შემდეგმა მეტოქემ, ბრაზილიის ნაკრებმა სძლია მექსიკის კოლექტივს — 100:78. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — ფილიპინები 135:85, ესპანეთი — არგენტინა 96:89 (თამაშობდნენ სანხუანში), კუბა — ჩეხოსლოვაკია 61:60, კანადა — ავსტრალია 80:69 (კაგუასი).

მორიგ ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია მთავარ კონკურენტს ჯგუფში, ბრაზილიის ნაკრებს — 79:60 (39:25). საბჭოთა კალათბურთელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო გუნდის ვეტერანი მ. პაულაუსკასი — 20 ქულა. ამ ჯგუფში მეორე შეხვედრა მექსიკისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 106:82. მეორე მატჩი წააგეს ჩეხოსლოვაკიელმა კალათბურთელებმა. მათი მეტოქე მექსიკელები უკეთ თამაშობდნენ და გაიმარჯვეს — 83:75.

აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 114:71. გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი ქულა შეაძინეს გუნდს ჯ. ლუკასმა და ლ. ბურდენმა — 25-25.

# მოროზოვა ბრძოლას განაგრძობს

ლონდონი, 4 ივლისი. უიმბლდონის ტურნირში წარმატებით გამოდის მოსკოველი ჩოგბურთელი ო. მოროზოვა. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იყო ამ ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი ბ.-ჯ. კინგი (აშშ). მოროზოვამ ბრწყინვალედ ითამაშა და დაამარცხა ძლიერი მეტოქე ანგარიშით 7:5, 6:2. მოროზოვა ნახევარფინალში შეხვდება ინგლისელ ვ. უეიდს. ფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ, აგრეთვე, ამერიკელი კ. ევერტი და ავსტრალიელი კ. მელვილი.

მარცხი იწვნიეს უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი გათამაშების პირველი და მეორე ადგილების მფლობელებმა, ჩეხოსლოვაკიელმა ი. კოდეშმა (მეოთხედფინალში წააგო ამერიკელ ჯ. კონორსთან — 6:3, 3:6, 3:6, 8:6, 3:6) და ა. მეტრეველმა (მეოთხედფინალში დამარცხდა ამერიკელ დ. სტოკტონთან) — 4:6, 5:7, 1:6. მანამდე სტოკტონმა სძლია რუმინელ ი. ნასტასეს.

## რეკორდები

### 76,60 მ

ლაიპციგი, 4 ივლისი. გდრ-ის მძლეოსანთა აქ გამართულ ჩემპიონატში რ. ტაიმერმა ურო 76,60 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდია და 20 სანტიმეტრით სჯობს დასავლეთგერმანელი ვ. შმიდტის ძველ მიღწევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურა და სპორტი — ხუთწლედის სამსახურში!

# „გ ი გ ა ნ ტ ი ს"
# გიგანტური ნაბიჯები

ლაითური. 30-იან წლებში სააქციო საზოგადოება „საქჩაის" მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ საჭიროდ ჩათვალა აქ მსხვილი საბჭოთა მეურნეობის გაშენება. ამ მიზნით შეძენილ იქნა სამი ამერიკული ტრაქტორი „მონარქი" და ერთი გერმანული „კოტერპილარი". სულ კი მთელს ოზურგეთის საზრაში ათი ტრაქტორიც არ მოიძებნებოდა. 1936 წელს ლაითურელებმა ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი მიიღეს.

მეურნეობას „გიგანტი" ეწოდა. იგი 2500 ჰექტარზეა გაძენებული, სადაც ოცამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მუშაობს. შარშან ლაითურში 4500 ტონის ნაცვლად 5333 ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფა და გეგმა 118,5 პროცენტით შესრულდა.

ლაითური. ამ სახელის გაგონებისას ბევრს ალბათ თვალწინ წარმოუდგება ზღვისპირა ადგილი, ხავერდოვანი ჩაის ბუჩქებით აფერადებული გორაკები და იქ მოფუსფუსე მშრომელები. დიახ, ასეა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ლაითური სახალხო მეურნეობის კიდევ ათზე მეტ პროდუქტს გვაძლევს. მაგალითად, შარშან ძეციტრუსეებმა გეგმა 130 პროცენტით შეასრულეს, ბევენაჯეებმა — 109,1 პროცენტით...

გენრიეტა ჯაბუა, დუშიკო მაისურაძე, ტატიანა ზუბჩენკო, ეკატერინე ზახაროვა, ალექსანდრე თალაკვაძე... აი, ისინი, ვისაც შრომის სიყვარულმა სახელი და დიდება მოუტანა. მათს მკერდს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს... მოწინავეებს მხარში უდგას ლაითურის 3000-მდე მუშა-მოსამსახურე.

— ამ წარმატებაში ფიზკულტურა და სპორტიც გვეხმარება. ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩავაბათ ფიზკულტურულ ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე უებარი საშუალება მშდ კომპლექსია. წლეულს ამ კომპლექსის სტარტზე 200 კაცი გამოვიდა. მათს უმრავლესობას ნორმატივები ყველა სახეობაში აქვს ჩაბარებული, ცურვის გარდა. მართალია, საცურაო აუზი არა გვაქვს, მაგრამ ნორმატივებს ზღვაზე ჩავაბარებთ. გამოცდილება უკვე გვაქვს, — გვითხრეს „გიგანტში".

მეურნეობის დირექტორმა ქიშვარდი გიორგაძემ სპორტულ სარბიელზე მოპოვებული ჯილდოები ამაყად გვიჩვენა. ეს მხოლოდ ნაწილი იყო მათი მდიდარი სპორტული ნადავლისა. აი, ბროლის თასი. მასზე ამოტვიფრულია წარწერა: „ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟის" გარდამავალი პრიზი III ადგილისთვის სსრ კავშირის თასის გათამაშებაში „ოქროს თავთავი". ეს თასი შარშან ლაითურის ფეხბურთელთა გუნდმა „გიგანტმა" მოიპოვა. გუნდს 46-ე კომპლექსური მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი ბახვა გიორგაძე წვრთნის.

შარშან საკავშირო სარბიელზე თავი ისახელა თენგიზ კვაჭანტირაძემ, რომელმაც ალმა-ათაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ყველა მეტოქე დაამარცხა. მას მიხეილ ხაბალაშვილი ავარჯიშებს. მიხეილი სპორტის ოსტატია თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ამ სახეობების გარდა იგი ქართულ ჭიდაობაშიც ავარჯიშებს ლაითურელ ახალგაზრდობას. მიხეილის მოწაფეებმა, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა წლეულს „კოლმეურნის" რაიონულ სპარტაკიადაში ყველა მეტოქე დაჯაბნეს. სხვათა შორის, სპარტაკიადის პროგრამაში 9 სახეობა შედიოდა და ლაითურელებმა ცხრავეში საპრიზო ადგილები მოიპოვეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გარდა, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები (გოგონები) და მძლეოსნები.

საერთოდ, ლაითურში სპორტის 11 სახეობაა დანერგილი. მათგან ყველაზე „ახალგაზრდა" ველოსპორტია.

— ამ რამდენიმე კვირის წინათ „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი „იქნებ ეს ტრადიციის დასაწყისია". წერილში ლაპარაკი იყო საგზატკეცილო ველორბოლაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკური სკოლის პირად-გუნდური პირველობის შესახებ, რომელიც საქართველოს არაოფიციალურ ჩემპიონატს უდრიდა. ამ შეჯიბრებაში მახარაძის ველოსიპედისტები ბოლო ადგილზე დარჩნენ. მიუხედავად ამისა თქვენს კორესპონდენტს ისინი ხელებით არ გაუკრიტიკებია რადგან, მათთვის ეს გამოსვლა დებიუტი იყო ასეთ დიდ შეჯიბრებაში. [illegible], მახარაძელები მონდომებისთვის შექებ კიდეც. ჩვენ ეს სულით და გულით გვიხარია, რადგან რაიონის კოლექტივი სწორედ ლაითურელი ველოსიპედისტებით იყო დაკომპლექტებული. სპორტსმენებს ახალგაზრდა მწვრთნელი ენვერ თავაძე ავარჯიშებს. მან ახლახან დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. შრომისმოყვარე, თავისი საქმის ერთგული კაცია. ვფიქრობთ, იგი იმედს გაამართლებს. — გვითხრა ლაითურის სპორტული დარბაზის დირექტორმა კუკური ინწკირველმა, რომელიც მეგზურობას გვიწევდა.

„კოლმეურნის" რაიონულ ნაკრებში ლაითურელთა 50-მდე წარმომადგენელია. ყველა აქტიურადაა ჩაბმული მეურნეობის შრომითს ფერხულში.

— წამობრძანდით, ერთ-ერთ მოწინავე მუშაკსა და სპორტსმენს დავით ბზეკალავას გაგაცნობთ, — გვითხრა მეგზურმა.

დავითის მოძებნა გაჭირდა, რადგან მეჩაიეებს „ტაიმ-აუტი" ჰქონდათ.

პირველი კრეფა დაემთავრებინათ, მაგრამ ბოლოს მაინც ვიპოვეთ. დათოს თავისი ჩაის საკრეფი მანქანა თითქმის სულ დაეშალა და მექანიზმებს ჩაჰკირკიტებდა.

— ეს რა გიქნია, კაცო, ამას ახლა რაღა ააწყობს? — მისვლისთანავე ჰკითხა გაოცებულმა დირექტორმა.

— ალბათ რამდენიმე დღე დაგჭირდება.

— საღამოს მზად იქნება, — ისევ ღიმილით უპასუხა დათომ.

— 46-ე კომპლექსური მექანიზებული ბრიგადის მექანიზატორია, — გვიამბობდა შემდეგ ინწკირველი. მოცლა არა აქვს, ხან პლანტაციაშია, ხან მანქანას ჩაჰკირკიტებს, ხანაც სპორტულ მოედანზეა. — პირველთანრიგოსანი ფრენბურთელია და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრებშიც თამაშობს.

მშრომელებს მხარში უდგანან ლაითურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ქართული და რუსული საშუალო სკოლების მოსწავლეები. მათგან ჩაის კრეფაში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ლენა ზახაროვამ. მან ამ სეზონში მოსწავლეთაგან ყველაზე მეტი — ორ ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ლენა არც ფიზკულტურასა და სპორტს ივიწყებს. პირველთანრიგოსანი ველოსიპედისტია.

სწავლაში, შრომასა და სპორტში ლენას არ ჩამორჩებიან ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე ლიზა ჯანელიძე, ტექნიკუმის მოსწავლეები დარეჯან ხაჩიძე, ნატაშა მოტრინა, ეთერ თენეიშვილი...

ეს პირველთანრიგოსანი ფრენბურთელები „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრების წევრები არიან. სპორტმა ყველა მათგანს გამოუმუშავა სიმტკიცე, ნებისყოფა, შრომისადმი უსაზღვრო სიყვარული.

დღის ბოლოს სპორტული ბაზები მოვიარეთ. ყველგან სისუფთავე და წესრიგია. ყურადღებას იპყრობს მშდ კომპლექსის ლოზუნგები, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ფოტოსტენდები. როგორც გვითხრეს, ლაითურის საბჭოთა მეურნეობას განზრახული აქვს სპორტული კომპლექსის აშენება, რომელსაც საცურაო აუზიც ექნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაშინ ლაითურელთა სპორტული და შრომითი მიღწევები კიდევ უფრო იმატებს.

**ა. გურასაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლაითური.

• • •

**სურათებზე:** დ. ბზეკალავა; კ. ინწკირველი თავის ახალგაზრდელ ფრენბურთელებთან.

ავტორის ფოტოები.





# თბილისელი მოცურავის გამარჯვება

ხარკოვში გრძელდება სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი და ქალიშვილთა პირველობა ცურვაში. ქალთა შეჯიბრებაში კარგად გამოდის მასპინძელთა წარმომადგენელი ნ. პოპოვა („დინამო"), რომელმაც სსრ კავშირის ორი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე. მან ამ დისტანციაზე თავისუფალი სტილით 4.32,2 აჩვენა, რაც ლენინგრადელი ტ. შელოფასტოვას შარშანდელ მიღწევაზე 2,9 წამით უკეთესია. შემდეგ პოპოვამ ამავე მანძილზე კომპლექსურ ცურვაში თავისივე რეკორდს (5.08,8), რომელიც ამას წინათ დაამყარა, 1,4 წამი „ჩამოაჭრა".

სხვა სახეობებში უკვე დამთავრებულ შეჯიბრებებში ქალთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — ი. ფეტისოვა (ლენინგრადი, შეიარაღებული ძალები) — 1.16,8, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — ნ. სტავკო (დნეპროპეტროვსკი, „ავანგარდი") — 2.26,5, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში — ტ. ზოლოტნიცკაია (ნოვოსიბირსკი, „დინამო") — 2.12,5, ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ასპარეზობაში — ნ. პოპოვა — 2.27,4. 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტა მოიგო ლენინგრადის კვარტეტმა—4.32,4.

ქალიშვილებს შორის თავი ისახელა თბილისელმა ლ. სუინამ („განთიადი"), რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თანატოლებში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა — 2.32,1. ამ ასაკის ჯგუფში 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ქალთა შორის მოსპარეზე ნ. პოპოვამ ქალიშვილების საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა — 1.05,9.

# საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

•




## უინტერესოდ, უფეროდ...

პირად ტურნირში 46 კგ წონის კატეგორიაში თბილისელმა ვ. ელბიაკოვმა ფინალში დაამარცხა აჭარის წარმომადგენელი ს. ოხიკიანი და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისელებმა ა. ცქიფურიშვილმა და გ. კუხიანიძემ, რომლებმაც თავიანთს წონებში პირველი ადგილები დაიკავეს.

ფინალურ ბრძოლებში ი. შუშიაშვილისა (რუსთავი) და გ. მუხიგულაშვილის (თბილისი) წყვილი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც შეხვედრის სამივე რაუნდი თანაბარ დონეზე ჩაატარა, რაც, ცხადია, მათმა ფიზიკურმა მომზადებამ განაპირობა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა შუშიაშვილმა. ა. კალაიჯიანი (აფხაზეთი) ასპარეზობის მონაწილე 100-ზე მეტი მოკრივიდან ყველაზე უკეთესად იყო მომზადებული როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. მან ყველა ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო და სპეციალური პრიზი მოიპოვა.

გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა გამოავლინა მძიმე წონის ფოთელმა მოკრივემ ბ. სიჭინავამ. ამ სპორტსმენს ა. იუმუკიანთან (აფხაზეთი) ფინალურ ასპარეზობამდე 20 ბრძოლა ჰქონდა მოგებული. მან დიდი მონდომებით ჩაატარა შეხვედრა და თავის გამარჯვებათა რიცხვს კიდევ ერთი შემატა.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ მოკრივეები და მათი მწვრთნელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას. შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობა ტექნიკური მოუმზადებლობის გამო მთელ ენერგიას პირველ ორ რაუნდში ხარჯავდა, მესამე რაუნდში კი ბრძოლების უმრავლესობა უინტერესოდ, უფეროდ მიმდინარეობდა.

ფინალური შეხვედრებიდან 2 ბრძოლა ნოკაუტით დამთავრდა. ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ ამ ბრძოლებში დამარცხებულთა გვარებს, მაგრამ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ მათს მწვრთნელებს, რომლებიც თავიანთი მოწაფეების აშკარა სისუსტეს გრძნობდნენ და მაინც გამოიყვანეს ისინი საბრძოლველად.

**ი. იუნაევი.**

### პრიზიორები

გუნდური. 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. ქუთაისი.

46 კგ. 1. ვ. ელბიაკოვი (თბილისი), 2. ს. ოხიკიანი (აჭარა), 3. ვ. ბოჭორიშვილი (ქუთაისი), კ. მასხულია (ფოთი).

48 კგ. 1. გ. ასოევი (თბილისი), 2. ვ. გადაი (აფხაზეთი), 3. ა. ქურდოღლიანი (აჭარა), ა. ხაჩატურიანი (ქუთაისი).

50 კგ. 1. ა. ცქიფურიშვილი (ქუთაისი), 2. ნ. ტონოკანიანი (აჭარა), 3. გ. იარალოვი (სამხრეთ ოსეთი), რ. გალუსტიანი (თბილისი).

52 კგ. 1. გ. კუხიანიძე (ქუთაისი), 2. ვ. ქავთარაძე (თბილისი), 3. კ. გეგენავა (ფოთი), რ. ველიციანი (რუსთავი).

54 კგ. 1. ე. გავრილოვი (თბილისი), 2. ვ. ქვათაშიძე (ქუთაისი), 3. გ. ძიძიგური (აფხაზეთი), ე. აბდულაევი (რუსთავი).

57 კგ. 1. ტ. ცაბულაშვილი (თბილისი), 2. მ. სევასტიდი (რუსთავი), 3. ლ. სტეპანიანი (ბათუმი), ე. საakiანი (აფხაზეთი).

60 კგ. 1. კ. კოსტანიანი (თბილისი), 2. მ. თედორაძე (აფხაზეთი), 3. ტ. ამალიანი (ფოთი), ვ. შავიძე (რუსთავი).

63 კგ. 1. ი. შუშიაშვილი (რუსთავი), 2. გ. მუხიგულაშვილი (თბილისი), 3. ა. მაღლაკელიძე (ქუთაისი), ა. ოვაკიმიანი (აჭარა).

66 კგ. 1. ა. სოკურაშვილი (თბილისი), 2. ა. ბობუა (აფხაზეთი), 3. ვ. სიგუა (ფოთი), მ. საფიროვი (რუსთავი).

70 კგ. 1. ა. კალაიჯიანი (აფხაზეთი), 2. ვ. ღონღაძე (თბილისი), 3. რ. კანდელაკი (ქუთაისი), ა. არაბიანი (ახალციხე).

74 კგ. 1. ა. ბიჭიაშვილი (სამხრეთ ოსეთი), 2. ჯ. ლობჟანიძე (თბილისი), 3. ლ. შარაბიძე (ფოთი), გ. ხოშტარია (აფხაზეთი).

80 კგ და ზევით. 1. ბ. სიჭინავა (ფოთი), 2. ა. იუმუკიანი (აფხაზეთი), 3. გ. ბალდავაძე (ახალციხე), მ. მატვეევი (თბილისი).

# რაიონებში სპორტქრონიკა

## ✦ მაიაკოვსკი

ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში, გუნდური I ადგილი დაიკავა სამტრედიის საწარმოს ფიზკულტურის კოლექტივმა. II ადგილზეა „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრები. პირად პირველობაში ყველას აჯობეს მ. ცხადაძემ და ა. ქვანიამ.

• • •

რაიონის სკოლების პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში 2145 ქულით მოიგო მაიაკოვსკის ნინოშვილის სახელობის სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე არიან როკითის (2079), III — ფერსათის (2033) სკოლების წარმომადგენლები.

• • •

ჩატარდა სარაიონო პირველობა „ტყავის ბურთის" პრიზზე. უფროსი ასაკის ჯგუფში I ადგილი დაიკავა დაბა მაიაკოვსკის გუნდმა. მაიაკოვსკელები მონაწილეობას მიიღებენ ჭიათურაში გამართულ ზონალურ პირველობაში.

**ლ. ენდელაძე,**
მაიაკოვსკის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### 17 ივლისს მოსკოვში

როგორც ცნობილია, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით გაუქმდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ პირველი წრის მატჩი, რომლის ძირითადი დრო ფრედ — 0:0 დამთავრდა, ხოლო 11-მეტრიანების სერიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

და აი, საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის ფედერაციიდან მოვიდა ცნობა, რომ ამ გუნდების I წრის მატჩი გაიმართება 17 ივლისს მოსკოვში.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (დონის როსტოვი) | 15 | 10 | 2 | 3 | 35—14 | 22 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 10 | 2 | 3 | 19—7 | 22 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 16 | 10 | 2 | 4 | 26—18 | 22 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 15 | 9 | 3 | 3 | 21—11 | 21 |
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 16 | 7 | 5 | 4 | 22—18 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 15 | 8 | 2 | 5 | 23—14 | 18 |
| „დინამო“ (მინსკი) | 15 | 8 | 2 | 5 | 20—14 | 18 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 15 | 5 | 6 | 4 | 22—17 | 16 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 15 | 5 | 6 | 4 | 16—18 | 16 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 15 | 5 | 5 | 5 | 19—18 | 15 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 16 | 5 | 4 | 7 | 16—21 | 14 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 15 | 5 | 3 | 7 | 27—25 | 13 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 15 | 4 | 5 | 6 | 11—14 | 13 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 15 | 5 | 3 | 7 | 12—18 | 13 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 15 | 4 | 4 | 7 | 15—21 | 12 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 15 | 5 | 2 | 8 | 16—24 | 12 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—21 | 11 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 15 | 2 | 6 | 7 | 14—26 | 10 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 16 | 3 | 3 | 10 | 15—32 | 9 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 15 | 2 | 3 | 10 | 14—24 | 7 |

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 17 | 9 | 5 | 3 | 27—14 | 23 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 17 | 9 | 4 | 4 | 27—16 | 22 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 15 | 9 | 3 | 3 | 24—11 | 21 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 16 | 7 | 7 | 2 | 17—5 | 21 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 16 | 9 | 3 | 4 | 20—10 | 21 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 16 | 8 | 2 | 6 | 24—18 | 18 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 16 | 7 | 4 | 5 | 21—16 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 16 | 7 | 3 | 6 | 29—23 | 17 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 16 | 4 | 9 | 3 | 26—22 | 17 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 16 | 8 | 1 | 7 | 22—18 | 17 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 16 | 6 | 5 | 5 | 19—25 | 17 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 17 | 7 | 2 | 8 | 17—18 | 16 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 16 | 5 | 6 | 5 | 20—22 | 16 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 16 | 5 | 4 | 7 | 19—23 | 14 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 16 | 4 | 5 | 7 | 13—18 | 13 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 16 | 4 | 4 | 8 | 14—22 | 12 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 16 | 4 | 3 | 9 | 15—24 | 11 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 16 | 3 | 5 | 8 | 13—31 | 11 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 16 | 3 | 4 | 9 | 6—19 | 10 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 16 | 3 | 1 | 12 | 12—30 | 7 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები:

### პირველი ჯგუფი

● „განთიადი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:5. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

წინა ტურში დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ „მეტალურგმა“ ამჯერად შეხვედრა მონდომებით, გააზრებულად ჩაატარა და გაიმარჯვა.

ბურთები გაიტანეს გლინიანოვმა (2), ბოჭორიშვილმა, ქათამაძემ და მანჩხაშვილმა. თბილისელთაგან ორივე გოლის ავტორია კირაკოსიანი.

● „მეტალურგი“ (რუსთავი)— „სულორი“ (ვანი) 7:0. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

გათამაშების ლიდერმა აუტსაიდერთან იოლი გამარჯვება მოიპოვა. გოლები გაიტანეს მიქაშავიძემ (4), გოგუაძემ (2) და შენგელიამ. გვერდითს მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებული არიან ვანელი ფეხბურთელები თ. ნეფარიძე და თ. სულაბერიძე.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

თამაში თავიდან ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, შემდეგ კი „სალხინომ“ მოიპოვა უპირატესობა. მატჩის 50-ე წუთზე ოდიშარიამ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

● „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

შეხვედრა იმით დაიწყო, რომ მე-4 წუთზე გორელმა მარტინენკომ კარგად გამოიყენა ასპინძელი მცველის ცინაძის უზუსტო თამაში და ანგარიში გახსნა. შემდეგ უპირატესობამ „ვარძიის“ მხარეს გადაინაცვლა და ტაიმის ბოლოს ფართლაძემ ანგარიში გაათანაბრა. მეორე ნახევარში შეხვედრა ისევ „ვარძიის“ უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ თამაშის 87-ე წუთზე გუნდი 11-მეტრიანით დაისაჯა, რაც მარღიშვილმა კარგად გამოიყენა. ერთი წუთის შემდეგ გორელმა ი. ნოზაძემ თავური დარტყმით ანგარიში 3:1-მდე გაზარდა.

გაფრთხილება მიიღეს გორელებმა თ. ფსუტურმა (უხეშობისთვის), მ. კოჭლამვილმა (მსაჯთან კამათისთვის) და ასპინძელმა შ. ბერიძემ (სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის). ბერიძისთვის ეს პირველი შეცდომა როდია. მანამდე იგი მინდვრიდან გააძევეს, მერე კი რამდენიმეჯერ გააფრთხილეს. ამიტომ, დებულების თანახმად, ბერიძე სამი თამაშით დისკვალიფიცირებულია.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

თამაში უფერულად, უინტერესოდ ჩატარდა. ერთადერთი ბურთი მე-18 წუთზე გაიტანა მესხაძემ.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:2. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

„მეშახტემ“ კარგად დაიწყო შეხვედრა და მე-15 წუთზე აუშტროვმა გახსნა კიდეც ანგარიში. 38-ე წუთზე ქობულეთელმა მელნიკოვმა წონასწორობა აღადგინა.

მეორე ტაიმი ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა. 75-ე წუთზე ქობულეთელმა კვიტაიშვილმა საჯარიმო დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია მ. მჟავანაძე (ქობულეთი). ეს მისთვის მეორე გაფრთხილებაა ამ სეზონში.

● „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. ჭაკნელიძე (ზესტაფონი).

● „კოლხეთი“ (ხობი) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი ნ. ცანავა (გაგრა).

პირველი ტაიმი არმიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დარჯანიამ ორი გოლი გაიტანა. მეორე ნახევარში ხობელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა. ჯერ ჯოჯუამ, შემდეგ ნ. გვასალიამ გაათანაბრეს ანგარიში.

● „კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

თამაშის დასაწყისში თელაველმა ელისაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც კარგად ისარგებლა ალანიამ და ანგარიში გახსნა. შემდეგ ჯერ ხარაბაძემ, მერე კი, მეორე ტაიმში, ალანიამ ანგარიში სამამდე გაზარდეს. ერთადერთი საპასუხო გოლი 62-ე წუთზე გაიტანა მჭედლიძემ.

● ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 5:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა სტუდენტთა ტერიტორიული უპირატესობით. ანგარიში გუგუბერიძემ გახსნა. კოპალეიშვილმა მეორე გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ გიგოლაშვილმა ანგარიში 3:0-მდე გაზარდა სტუდენტთა სასარგებლოდ. ტაიმის დასასრულს 11-მეტრიანი დარტყმით ზანინმა ერთი გოლით შეამცირა სხვაობა.

მეორე ტაიმში ინსტიტუტის ფეხბურთელებმა კორაშვილმა და სართანიამ კიდევ ორი გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. ცხაკაიელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მხოლოდ 2 გოლის გაქვითვა მოახერხეს (იოსავა, ნიკოლაიშვილი).

### მეორე ჯგუფი

I ზონა

„ცისკარი“ (სიღნაღი) — „განახლება“ (ადიგენი) 0:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „განთიადი“ (კასპი) 2:2, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 0:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „განახლება“ (ადიგენი) — 3:0, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:0.

II ზონა

„იმერეთი“ (თერჯოლა) — „გიგანტი“ (ლაითური) 4:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „კოლმეურნე“ (გულრიფში) — 5:0, ხდკ (სამტრედია) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1, „მზიური“ (გალი) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 2:3.

● ●

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 16 | 11 | 4 | 1 | 32—10 | 26 |
| „სალხინო“ | 16 | 7 | 9 | 0 | 24—11 | 23 |
| „მაღაროელი“ | 16 | 9 | 4 | 3 | 24—8 | 22 |
| „ლოკომოტ.“ | 16 | 8 | 6 | 2 | 29—18 | 22 |
| „დინამო“ | 16 | 7 | 6 | 3 | 28—15 | 20 |
| ფიზკ. ინსტ. | 16 | 7 | 6 | 3 | 29—20 | 20 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 15 | 8 | 4 | 3 | 27—18 | 20 |
| ასკ (თბილისი) | 14 | 7 | 5 | 2 | 30—11 | 19 |
| „კახეთი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 29—25 | 18 |
| „შუქურა“ | 16 | 6 | 5 | 5 | 19—15 | 17 |
| „კოლხეთი“ | 16 | 4 | 8 | 4 | 21—20 | 16 |
| „ამირანი“ | 16 | 6 | 4 | 6 | 17—16 | 16 |
| „ქართლი“ | 16 | 6 | 2 | 8 | 28—29 | 14 |
| „ეგრისი“ | 16 | 4 | 5 | 7 | 15—22 | 13 |
| „მეშახტე“ | 15 | 4 | 3 | 8 | 19—29 | 11 |
| „განთიადი“ | 16 | 2 | 6 | 8 | 19—26 | 10 |
| „ვარძია“ | 16 | 3 | 3 | 10 | 14—33 | 9 |
| „სპარტაკი“ | 16 | 2 | 4 | 10 | 15—29 | 8 |
| „სულორი“ | 16 | 3 | 2 | 11 | 13—48 | 8 |
| „ივერია“ | 16 | 2 | 0 | 14 | 15—44 | 4 |

### გათამაშების ცხრილები

მეორე ჯგუფი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 10 | 7 | 3 | 0 | 29—5 | 17 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 11 | 6 | 2 | 3 | 22—13 | 14 |
| „განთიადი“ (კასპი) | 10 | 5 | 2 | 3 | 18—18 | 12 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 9 | 4 | 3 | 2 | 19—15 | 11 |
| „მადნეული“ (ბოლნისი) | 9 | 4 | 3 | 2 | 19—17 | 11 |
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 10 | 4 | 3 | 3 | 16—14 | 11 |
| „ყინწვისი“ (ქარელი) | 10 | 4 | 1 | 5 | 20—16 | 9 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 10 | 3 | 3 | 4 | 12—17 | 9 |
| „კოლმეურნე“ (ბორჯომი) | 9 | 3 | 1 | 5 | 13—18 | 7 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 8 | 2 | 1 | 5 | 7—15 | 5 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 8 | 1 | 2 | 5 | 5—15 | 4 |
| „სამცხე“ (აწყური) | 10 | 1 | 2 | 7 | 15—32 | 4 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 9 | 6 | 3 | 0 | 21—7 | 15 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 9 | 6 | 2 | 1 | 22—9 | 14 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 9 | 4 | 4 | 1 | 20—10 | 12 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 9 | 3 | 5 | 1 | 19—15 | 11 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 9 | 3 | 4 | 2 | 12—9 | 10 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 9 | 3 | 2 | 4 | 19—17 | 8 |
| „მზიური“ (გალი) | 9 | 1 | 6 | 2 | 14—15 | 8 |
| „კოლმეურნე“ (გულრიფში) | 9 | 3 | 2 | 4 | 12—19 | 8 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 10 | 2 | 3 | 5 | 16—18 | 7 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 9 | 1 | 3 | 5 | 5—22 | 5 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 9 | 0 | 2 | 7 | 7—26 | 2 |

საქართველოს თასის გათამაშების მონაწილე გუნდების საყურადღებოდ!

განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადაა 10 ივლისი.



## პირველობა წყალქვეშ

სოხუმში, დოსააფის საზღვაო კლუბის საზაფხულო საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა წყალქვეშა სპორტში (ჩქაროსნული სახეობები). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სპორტულ-ტექნიკურ კლუბ „იუგის“ (სოხუმი) კოლექტივები და პირველობის დებიუტანტი — ჭიათურის გუნდი.

პროგრამაში იყო წყალქვეშ ფარფლებითა და აკვალანგით ცურვა, ფარფლებით სწრაფცურვა, ყვინთვა 15 (გოგონები), 25 (ჭაბუკები და ქალები) და 50 (ვაჟები) მეტრზე, აგრეთვე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა 50 მეტრზე (ტირში).

საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება წყალქვეშ ცურვაში. თბილისელმა ვ. პარაფილოვმა გაიმარჯვა 100, 400 და 800 მეტრზე. 400-მეტრიან დისტანციაზე II ადგილზე იყო აფხაზეთის წარმომადგენელი ე. ვესელოვი. ქალთა შორის 100 მეტრზე ყველას აჯობა ი. კონდრატიუკმა (თბილისი). II ადგილზეა ლ. რეზვაკი (აფხაზეთი).

დაძაბული იყო ბრძოლა ფარფლებით ცურვაში. ჭაბუკთა შეჯიბრებაში კარგი შედეგები მოიპოვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. ჩერნოვმა, რომელმაც ყველას აჯობა 100, 200, 400 და 800 მეტრზე. ქალიშვილებში 100-მეტრიან დისტანციაზე პირველობდა ტ. ბოგატირიოვა (თბილისი). მეორე იყო ტ. ბავინა (აფხაზეთი). 400 მეტრზე ცურვაში ყველას აჯობა ა. აირაპეტოვამ (თბილისი). II ადგილზე გავიდა ტ. ბავინა. მანვე I ადგილი დაიკავა 200 და 800-მეტრიან დისტანციებზე.

ქალთა შორის 100, 300 და 800 მეტრზე ცურვაში ყველაზე უკეთესი შედეგები მოიპოვა თბილისელმა თ. დოლიძემ. 400 მეტრზე გაიმარჯვა აფხაზეთის წარმომადგენელმა კ. გუნგამ.

ცურვის ჩქაროსნულ სახეობებში ვაჟთა შორის თბილისელმა ვ. სტაშევსკიმ ყველას აჯობა 100, 800 და 1500 მეტრზე შეჯიბრებაში. მისმა თანაგუნდელმა ნ. ბარდამ გაიმარჯვა 400-მეტრიან დისტანციაზე.

აფხაზეთის წარმომადგენლები კარგად გამოვიდნენ 4×100 მეტრზე შერეულ ესტაფეტაში (ორ-ორი გოგონა და ჭაბუკი) და ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე, სადაც I ადგილები დაიკავეს. თბილისელმა ვაჟებმა მოიგეს ესტაფეტა 4×100 მ.

საინტერესო იყო შეჯიბრება ყვინთვაში. გოგონათა შორის ყველას აჯობა ტ. ბოგატირიოვამ (თბილისი). II ადგილზე გავიდა ტ. ბავინა. 25 მეტრზე ყვინთვაში ჭაბუკთა შორის პირველი ორი ადგილი დაისაკუთრეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა ა. იაცენკომ და ა. ჩერნოვმა. ამავე დისტანციაზე ქალთა შეჯიბრებაში I ადგილზეა ი. კონდრატიუკი. II—III ადგილები ხვდათ ა. ხამალიანსა და რეზვაკს. 50 მეტრზე ყვინთვაში ვაჟებში საუკეთესო იყო ვ. პარაფილოვი. II ადგილზეა ე. ვესელოვი.

სროლაში გოგონათა და ჭაბუკთა შორის პირველი ადგილები დაიკავეს ე. იამპოლსკაიამ და ი. ვინოკუროვმა („იუგი“). ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებაში პირველობდნენ თბილისელი სტაშევსკი და აჭარის წარმომადგენელი თ. ვოიცეხოვსკაია.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის კოლექტივმა, რომელმაც აფხაზეთის წარმომადგენლები 3 ქულით ჩამოტოვა. III ადგილზეა აჭარის გუნდი.

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ა. შევარდნაძემ და აფხაზეთის ასსრ დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. უსოვმა გამარჯვებულებს გადასცეს გარდამავალი თასი, ხოლო პრიზიორებს — საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სიგელები.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.



● ● ●

სურათებზე: ზევით—თბილისელები ვ. პარაფილოვი (მარცხნივ) და ნ. ბარდა; ქვევით — თ. დოლიძე.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13/VI — 7/VII WM-74

# შიონის მეასე მატჩი

ეს მატჩი ჰელმუტ შიონისთვის საიუბილეო იყო. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა მოწინავე თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა გფრ-ის ნაკრების სათავესთან დგომის პერიოდში 100 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. შიონის როგორც მწვრთნელის ანკეტური მონაცემები მართლაც ბრწყინვალეა: 1966 წელს მისი გუნდი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო, 1970 წელს — ბრინჯაოს პრიზიორი. 1972 წელს მან ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 100 საერთაშორისო მატჩი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჩარჩოებში, 66 გამარჯვება, 18 ფრე და 16 მარცხი — ამ მონაცემების საფუძველზე ფეხბურთის ისტორიაში ერთი კარგი ბიოგრაფია შეიძლება დაიწეროს.

ჰელმუტ შიონს ხშირად ეკითხებიან ჟურნალისტები, რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად ცხოვრებაშიო. იგი, რა თქმა უნდა, მუდამ გადამწყვეტ შეხვედრებს იხსენებს, მაგრამ ამ ჩემპიონატის წინ ჟურნალისტებს საკმაოდ უცნაური პასუხი გასცა: „ჩემთვის დაუვიწყარი იქნება ფინალური მატჩი, რომელსაც 7 ივლისს მიუნჰენში ვითამაშებთ".

რას ნიშნავს ეს? ნუთუ მუდამ თავდაჭერილ შიონს ნერვებმა უმტყუნა და სიბერეში ტრაბახი დაიწყო? პირიქით, მწვრთნელი წლეულს ყველაზე მეტად გრძნობს, რომ უმაღლესი საფეხბურთო ტიტულისთვის ბრძოლა ძნელი იქნება. შიონმა ისიც კარგად იცის, რომ მისი დღევანდელი გუნდი დიდების ზენიტში იყო ორი წლის წინათ. მაგრამ მას არა აქვს უფლება პესიმისტი იყოს. ამას არ აპატიებს მილიონობით გულშემატკივარი. ამას მას არავინ აპატიებს, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონატი გფრ-ში ტარდება და ასეთი მასხის ხელიდან გაშვება შიონის კარიერის დასასრულს ნიშნავს.

3 ივლისი მართლაც დაუვიწყარი დღე იქნება შიონის ცხოვრებაში, ვინაიდან იმ დღეს მან პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა დიდი ოცნებისკენ მიმავალ გზაზე. შიონი თავისი ბიჭებით ფინალში გავიდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სულ ცოტა, ვერცხლის მედლები მას უკვე მოპოვებული აქვს.

სხვა საქმეა, რომ ეს მედლები არ დააკმაყოფილებს გულშემატკივრების თავმოყვარეობას, მაგრამ ვის შეუძლია წარმატების უდავო გარანტიის გაცემა?

პოლონეთის ეროვნული ნაკრები დღეს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ძალაა. ეს მან დაამტკიცა ოლიმპიურ თამაშებში და მიმდინარე ჩემპიონატის მთელ რიგ მატჩებში. პოლონეთის ფეხბურთელებს საკმაოდ საფუძვლიანი შანსები ჰქონდათ 3 ივლისის მატჩშიც და, თუ მათ მაინც მოუხდათ ამ პრინციპული პოზიციის დათმობა, ეს მოხდა მხოლოდ მძიმე და უაღრესად თანაბარი ბრძოლის შემდეგ.

იმ დღეს მაინის ფრანკფურტში დილიდან კოკისპირულად წვიმდა. ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ მინდორი როგორმე მოეწესრიგებინათ. ფიფა-ს წევრებს დიდი სჯა-ბაასი ჰქონდათ, სანამ იმ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, რომ მატჩის ჩატარება შესაძლებელიაო.

მატჩი მართლაც ჩატარდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძოლა ასეთი ამინდისთვის საკმაოდ საინტერესო იყო, მაგრამ მან დიდი მოლოდინის ნაწილიც ვერ გაამართლა. სველმა მინდორმა, წყლის გუბეებმა და განუწყვეტელმა წვიმამ მეტოქეებს წაართვა მთავარი იარაღი — სისწრაფე და მანევრირება. სრულიად მარტივ სიტუაციებშიც კი შეცდომებს უშვებდნენ დეინა და ლატო, ჰიონესი და ოვერატი... მხოლოდ ბეკენბაუერი, თანამედროვე ფეხბურთის ეს ჭეშმარიტი ოსტატი გრძნობდა თავს ისე, როგორც თევზი წყალში. მისი გამოზომილი და ზუსტი გადაცემები (ერთი ორი გამონაკლისის გარდა) მუდამ აღწევდა მიზანს. ზოგჯერ იგი შეტევებშიც მონაწილეობდა, მაგრამ მეტ დროს დაცვის ორგანიზაციას ახმარდა.

შესვენების შემდეგ ევროპის ჩემპიონმა აქტიური ოპერაციები წამოიწყო ცენტრში. 53-ე წუთზე პოლონელ მცველებს გამოეპარათ ჰელცენბაინის სახიფათო გარღვევა. კრიტიკული მომენტის ლიკვიდაციის მიზნით იგი საჯარიმო მოედანზე „მოცელეს". 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა გუნდმა ჰიონესს ანდო, მაგრამ პოლონელთა მეკარემ ტომაშევსკიმ ალღო აუღო მეტოქის განზრახვას და დარტყმა მოიგერია.

და მაინც, პირველი და ერთადერთი გოლი პოლონელების კარში გავიდა. ეს მოხდა 75-ე წუთზე, როცა მიულერმა ბოლოს და ბოლოს მიიღო თავისუფალი მოქმედების პატარა შესაძლებლობა. გფრ-ის ცენტრალურმა თავდამსხმელმა გოლი გაიტანა და ამ გოლმა ევროპის ჩემპიონს მთავარ ფინალში თამაშის უფლება მისცა.

## დანარჩენი ადგილები

12 გუნდისთვის ჩემპიონატი უკვე დამთავრდა. ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ 4 კოლექტივი. 7 ივლისს X მსოფლიო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი მთლიანად შეივსება. ახლა კი გთავაზობთ დანარჩენი გუნდების მიერ დაკავებულ ადგილებს (როგორც ცნობილია, ფიფა მსოფლიო ჩემპიონატებში ოფიციალურად მხოლოდ ოთხ ადგილს განსაზღვრავს, მაგრამ ყველა [illegible] დადგენა არც [illegible] მთლად [illegible]).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| გდრ | 6 | 2 | 2 | 2 | 5—5 | 6 |
| იუგოსლავია | 6 | 1 | 2 | 3 | 12—7 | 4 |
| არგენტინა | 6 | 1 | 2 | 3 | 9—12 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 | 3 |
| ჩილი | 3 | 0 | 2 | 1 | 1—2 | 2 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2—5 | 2 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 1—6 | 1 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 0—5 | 1 |
| ჰაიტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2—14 | 0 |
| ზაირი | 3 | 0 | 0 | 3 | 0—14 | 0 |

# დღეს მიუნჰენში...

ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილიისა და პოლონეთის გუნდები. ამ მატჩმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დარჩება X ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი.

პოლონეთის ნაკრებს მსოფლიო პირველობათა ფინალში მხოლოდ ერთხელ აქვს ნათამაშევი. იგი გამოდიოდა III ჩემპიონატში 1938 წელს. პოლონელებმა ჩაატარეს ერთადერთი მატჩი ბრაზილიის ნაკრებთან და დამარცხდნენ ანგარიშით 5:6. იმ დღეს ბრაზილიელთა კარში 4 გოლი გაიტანა ფორვარდმა ვილიმოვსკიმ. მეხუთე გოლი პიონტეკს ეკუთვნოდა.

პოლონელები ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მალესკი, შჩეპანიაკი, გალეცკი, გორა, ნიცი, დიდკო, პესი, პიონტეკი, შერფკე, ვილიმოვსკი, ვოდაჟი.

ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს ცხრავე ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში აქვს მიღებული მონაწილეობა. როგორია მისი მაჩვენებლები ამ ტურნირებში? 1930 წ. — VI ადგილი, 1934 წ. — XIV ადგილი, 1938 წ. — III ადგილი, 1950 წ. — II ადგილი, 1954 წ. — VI ადგილი, 1958 წ. — I ადგილი, 1962 წ. — I ადგილი, 1966 წ. — XI ადგილი, 1972 წ. — I ადგილი. მეხიკოს ჩემპიონატში გამარჯვებამ ბრაზილიას ჟიულ რიმეს თასი სამუდამოდ მოუტანა.

გაგახსენებთ ბრაზილიის ფეხბურთელთა შედეგებს მსოფლიოს ჩემპიონატების მატჩებში. I ჩემპიონატი: იუგოსლავიასთან — 1:2, ბოლივიასთან — 4:0; II ჩემპიონატი: ესპანეთთან — 1:3; III ჩემპიონატი: პოლონეთთან — 6:5, ჩეხოსლოვაკიასთან — 1:1, ჩეხოსლოვაკიასთან — 2:1, იტალიასთან — 1:2, შვეციასთან — 4:2; IV ჩემპიონატი: მექსიკასთან — 4:0, შვეიცარიასთან — 2:2, იუგოსლავიასთან — 2:0, შვეციასთან — 7:1, ესპანეთთან — 6:1, ურუგვაისთან — 1:2; V ჩემპიონატი: მექსიკასთან — 5:0, იუგოსლავიასთან — 1:1, უნგრეთთან — 2:4; VI ჩემპიონატი: ავსტრიასთან — 3:0, ინგლისთან — 0:0, სსრ კავშირთან — 2:0, უელსთან — 1:0, საფრანგეთთან — 5:2, შვეციასთან — 5:2; VII ჩემპიონატი: მექსიკასთან — 2:0, ჩეხოსლოვაკიასთან — 0:0, ესპანეთთან — 2:1, ინგლისთან — 3:1, ჩილისთან — 4:2, ჩეხოსლოვაკიასთან — 3:1; VIII ჩემპიონატი: ბულგარეთთან — 2:0, უნგრეთთან — 1:3, პორტუგალიასთან — 1:3; IX ჩემპიონატი: ჩეხოსლოვაკიასთან — 4:1, ინგლისთან — 1:0, რუმინეთთან — 3:2, პერუსთან — 4:2, ურუგვაისთან — 3:1, იტალიასთან — 4:1.

სულ ამ ჩემპიონატებში ბრაზილიელებს ჩატარებული აქვთ 38 მატჩი. მათ 26 შეხვედრა მოიგეს, 5 ფრედ დაამთავრეს და 7 წააგეს, ბურთების შეფარდება — 103—49.

აი, როგორაა განაწილებული ეს 103 გოლი ცალკეულ მოთამაშეებზე: პელე — 12, ვავა — 9, ადემირი — 8, ლეონიდასი, ჟაირზინიო — 7-7, გარინჩა — 5, რომეო, ჩიკო — 4-4, ნეტო, ჟაირი, ბალთაზარი, დიდი, ამარილდო, ტოსტაო, რიველინო — 3-3, ვიზინტეინერი, პერასიო, ზიზინიო, ჟულინიო, პინგა, მაცოლა, ზაგალო — 2-2, სილვა, რობერტო, ფრიაკა, ალფრედო, მანეკა, ჟ. სანტოსი, ნ. სანტოსი, ზიტო, რილდო, კლოდოალდო, ჟერსონი, კ. ალბერტო — თითო.

# ამჟამად უკვე ექს-ჩემპიონი

16 წლის მანძილზე მსოფლიოში გაბატონებული იყო ბრაზილიური ფეხბურთი. ახლა, X ჩემპიონატის დღეებში, მოდაში შემოვიდა ახალი გამოთქმა — ჰოლანდიური ფეხბურთი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ „ტრიკამპეზომ" (მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა) თავისი დრო მოჭამა და იძულებულია ადგილი დაუთმოს რაღაც უფრო ახალს, უფრო პროგრესულს და ამიტომაც უფრო სრულყოფილს?

ამ შეკითხვაზე პასუხს ფეხბურთის სამყარო 7 ივლისს მიიღებს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჰოლანდიური სტილის არსებობა ფაქტია, რომელსაც, სხვათა შორის, თვით ბრაზილიელებიც არ უარყოფენ.

მოუსმინეთ, რას ამბობს ამის თაობაზე ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად „ო გლობოს" კონცერნის (აერთიანებს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას) რეპორტიორი ჟოაო სალდანია: „მე ვგლოვობ. ამ ჩემპიონატში ვერც ერთხელ ვერ ვნახე ნამდვილი ბრაზილიური ფეხბურთი. ზაგალო კურდღელივით მშიშარა გამოდგა. მისმა სისტემამ თავდამსხმელებს შედეგიანობა დაუკარგა. ჩემთვის, როგორც ბრაზილიელისთვის, ძნელია ამის აღიარება, მაგრამ უნდა ვთქვა: მსოფლიო ფეხბურთისთვის დიდი უბედურება იქნება, თუ ოქროს მედლებს ტოტალური დაცვის გამომხატველი ასეთი გუნდი მიიღებს".

სალდანიას შესაძლოა ფარული ინტერესები ამოძრავებდეს, მაგრამ მისი სიტყვები ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან. ამას დღეს ყველა ხვდება, ყველა ხედავს, თქვენ წარმოიდგინეთ, სალდანიას მიერ მკაცრად გაკრიტიკებული ზაგალოც კი.

უკვე ერთი კვირაა, რაც ევროპის ბევრი გაზეთი კატეგორიულად აცხადებს: „ჩვენ ვნახეთ მსოფლიოს ახალი ჩემპიონის თამაში". ჰოლანდიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მათი სტილი, მათი ძალა ბოლოს და ბოლოს ირწმუნა ფეხბურთის სამყარომ, აღიარა და ამავე დროს დაივიწყა, რომ ბრაზილია სამჯერ ფლობდა ნიკეს ქანდაკებას. ბრაზილიური სტილის არსებობა ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ჰოლანდიურისა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ მათს დავაში უნდა წარმოიშვას ახალი ჭეშმარიტება, ახალი სტილი და შეხედულება ფეხბურთის შესახებ?

3 ივლისის მატჩმა ნაწილობრივ უკვე გასცა პასუხი ამ დავას. კრუიფმა და მისმა პარტნიორებმა დააკანონეს ახალი სტილი, მაგრამ კაცმა არ იცის, როგორი იქნება ევროპის ჩემპიონის საბოლოო სიტყვა. კაცმა არ იცის, მიიღებს თუ არა იგი უსიტყვოდ ჩრდილოელი მეზობლის პრეტენზიებს.

და მაინც, ჰოლანდიურმა ფეხბურთმა თავისი სათქმელი თქვა. ეს ნათქვამი საკმაოდ მკაფიოდ გაისმა 3 ივლისს დორტმუნდის სტადიონზე. მსოფლიოს ჩემპიონის აღიარებულ ავტორიტეტს დაემატა უხიამოვნო ნაწილაკი: ექს.

ამ მატჩის დასაწყისი თითქოს კარგს არაფერს უქადდა ჰოლანდიელებს. მსოფლიო ჩემპიონმა საიმედოდ ჩაკეტა თავისი კარის მისადგომები, დაეუფლა მოედნის შუაგულს და მისთვის დამახასიათებელი რიტმის მონაცვლეობით მეტოქის ნახევარზე ხანგრძლივი შეტევები წამოიწყო. მაგრამ რამდენადაც მობილურნი ჩანდნენ ბრაზილიელები დაცვაში, იმდენად უსისტემოდ და ქაოსურად თამაშობდნენ თავდასხმაში. ამ მომენტში მსოფლიო ჩემპიონს აშკარად ეტყობოდა ჟერსონისა და ტოსტაოს (აღარას ვამბობთ პელეზე), ან მათი რანგისა და ხასიათის ფეხბურთელთა არყოფნა.

ჰოლანდიელები მალე მოვიდნენ გონს და... დაიწყო მოულოდნელი თავდასხმები ლეაოს კარზე ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან, ხან ცენტრიდან. ყველა ამ თავდასხმას იწყებდა ან აბოლოებდა კრუიფი, ფეხბურთელი, რომელსაც დღეს სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ პელეს მემკვიდრედ.

კრუიფი ნომინალურად ცენტრალური თავდამსხმელია, მაგრამ შექმნილი სიტუაციის მიხედვით ხან გარემარბის როლს ასრულებს, ხან ნახევარმცველისას, ხან კი მცველისას. უფრო სწორად, იგი ნამდვილი უნივერსალია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომელიც ერთნაირი ხალისით მონაწილეობს თავდასხმაში და დაცვაში.

თერთმეტი ჰოლანდიელის ფონზე კრუიფი გამონაკლისი რომ იყოს, მაშინ ლაპარაკი გვექნებოდა ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის უნივერსალურ თვისებებზე, მაგრამ კრუიფი მთელის ისეთივე ნაწილია, როგორიც ვთქვათ რეპი, ნეესკენსი, რეესენბრინკი, დე იონგი და ასე შემდეგ მინდვრის ბოლო, მეათე მოთამაშემდე. ეს მთელი კი არის თამაშის ის ახლებური სტილი, რითაც ჰოლანდიელები მოვიდნენ თანამედროვე ფეხბურთში.

მაგრამ არ შეიძლება ჰოლანდიელებს დავაბრალოთ შიშველი რაციონალიზმისადმი სწრაფვა. მათ ბევრი რამ ბრაზილიური რომანტიზმიდანაც ისესხეს (ცხადია, ამ ტერმინებს პირობითად ვხმარობთ), ოღონდ ეს ცოდნა მერე საკუთარ პრიზმაში გადატეხეს. ესე იგი, როგორც ხედავთ, ორ ჭეშმარიტებას შორის ბრძოლამ მართლაც ახალი ჭეშმარიტება წარმოშვა.

გულახდილად ვთქვათ: ხომ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ რა გზით შესძლებდნენ ჰოლანდიელები მსოფლიო ჩემპიონის დაცვის გარღვევას? წინა თამაშების მიხედვით ასეთი გზა საერთოდ არ ჩანდა. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, გზაც გამოინახა და ამ გზის დაძლევის საშუალებებიც.

ჰოლანდიელებმა ორივე გოლი დაახლოებით ერთნაირ სიტუაციაში გაიტანეს. იყო ლამაზი ფინტებიც, ეფექტური გარღვევებიც და არანაკლებ ეფექტური პასებიც, ხიფათი კი ბრაზილიელთა კარს თითქოს არ ემუქრებოდა. მაგრამ ორივეჯერ ჰოლანდიელებმა (ჯერ ნეესკენსმა 50-ე წუთზე, მერე კი კრუიფმა 65-ე წუთზე) სისწრაფეში აჯობეს მცველებს, წამის მეასედი ნაწილი მოუგეს მათ. სხვათა შორის, ანალოგიური ბურთები გაქონდა ბრაზილიის დიდი გუნდის მთავარ სნაიპერს ვავას გარინჩას მიწოდებებიდან. მაშინაც დასწრების ფაქტორი თამაშობდა გადამწყვეტ როლს და ახლაც მან თქვა საბოლოო სიტყვა.

მერე კი, როცა საჭირო გახდა ანგარიშის შენარჩუნება და დაცვის როლის გაძლიერება, ჰოლანდიელებმა ბრწყინვალე გაკვეთილი ჩაუტარეს იმ მომენტში უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონს. სამწუხაროდ, თამაშის მიწურულში ბრაზილიელებს ნერვებმა უღალატა, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დასაჯა ისინი (პერეირა კი საერთოდ მინდვრიდან გააძევა).

მსოფლიოს ჩემპიონის სახელი ბევრს ავალებს გუნდს. ამიტომ ჩემპიონმა წაგებაც ღირსეულად უნდა იცოდეს.

## კიდევ ორი მატჩი

3 ივლისს გვიან ღამით დამთავრდა კიდევ ორი მატჩი.

დიუსელდორფში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და იუგოსლავიის გუნდები. პირველი ტაიმი ფრედ (1:1) დამთავრდა. შესვენების შემდეგ უფრო აქტიურად შვედები თამაშობდნენ. ერთ-ერთი შეტევა მათი ზუსტი დარტყმით დამთავრდა. გაიმარჯვა შვეციის ნაკრებმა — 2:1.

გელზენკირჰენში თამაშობდნენ გდრ-ისა და არგენტინის ფეხბურთელები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1 (1:1).

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 8—0 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 3—3 | 4 |
| გდრ | 3 | 0 | 1 | 2 | 1—4 | 1 |
| არგენტინა | 3 | 0 | 1 | 2 | 2—7 | 1 |

### II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 3 | 3 | 0 | 0 | 7—2 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3—2 | 4 |
| შვეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 4—6 | 2 |
| იუგოსლავია | 3 | 0 | 0 | 3 | 2—6 | 0 |

## რამსეის ნაწილობრივი და მთლიანი რეაბილიტაცია

მას შემდეგ, რაც ინგლისის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი სერ ალფ რამსეი გადააყენეს პოსტიდან, მსოფლიოს კიდევ ერთი ტელეკომენტატორი შეემატა. ეს გადაწყვეტილება რამსეიმ ლონდონშივე მიიღო და ფეხბურთთან თავისი განშორება დიდი ბანკეტით აღნიშნა.

ბანკეტზე მან მიიწვია ის 101 ფეხბურთელი, რომლებიც სხვადასხვა დროს ინგლისის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ რამსეის მეთაურობით (ბანკეტს ვერ დაესწრო მხოლოდ მური, რომელიც იმ დროს ინგლისში არ იყო).

ყოფილი მწვრთნელი ამჟამად გფრ-შია. იგი საკმაოდ დატვირთულია, თუმცა კმაყოფილებას ვერ მალავს. რამსეის ყველაზე მეტად ახარებს... პოლონელთა წარმატება (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ინგლისი შესარჩევი ტურნირიდან სწორედ პოლონეთმა გამოთიშა).

— ჩემი რეაბილიტაცია ნაწილობრივ უკვე მოხდა, — თქვა მან ჟურნალისტებთან საუბარში. — მთლიანი რეაბილიტაციის დღე კი მაშინ დადგება, როცა პოლონეთის ნაკრები ერთ რომელიმე საპრიზო ადგილს დაიკავებს.

## მწვრთნელებს აზრი შეეცვალათ

ჩემპიონატის დაწყების წინ ერთ-ერთმა დასავლეთგერმანულმა გაზეთმა მოაწყო 16 ფინალისტის მწვრთნელთა გამოკითხვა. ანკეტაში დასმული იყო ერთადერთი შეკითხვა: ვინ გახდება მსოფლიოს მეათე ჩემპიონი?

გამოკითხულთაგან 14 მწვრთნელმა უპირატესობა მიაკუთვნა ჩემპიონატის მასპინძელს. მხოლოდ ზაგალომ და ჰაიტის გუნდის მწვრთნელმა ტასიმ დაასახელეს უძლიერესად ბრაზილიის ნაკრები.

დებულების თანახმად, გამოკითხვის შედეგები, პირველი ნახევარფინალური მატჩების შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო. მწვრთნელებმა მოითხოვეს ანკეტებისთვის გადაეხედათ, ვინაიდან ჯგუფური ტურნირების შემდეგ აზრი შეეცვალათ, მაგრამ ჟიურიმ მათ ამის უფლება არ მისცა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. „ისნის" სტადიონი. დღეს. „განთიადი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). დასაწყისი 12 ს., ასკ-ს სტადიონი. დღეს. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარძია" (ასპინძა). 12 ს., ხვალ. ასკ (თბილისი) — „კახეთი" (თელავი). 15 ს.

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი

შალვა ვასილის ძე იანქოშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უვ 10700